

ძალაშია 19.04.2007-დან

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის  
2007 წლის 30 მარტის N 4591 – II დადგენილებით

## **შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ**

საქართველოს მთავრობა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

ისწრაფვიან რა, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის ურთიერთსარგებლიანობისა და თანასწორობის საფუძველზე,

აღიარებენ რა, რომ საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება მოითხოვს ურთიერთშეთანხმებული ზომების განხორციელებას,

გამომდინარე თითოეული მხარის სუვენერული უფლებიდან, გაატარონ დამოუკიდებელი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა, უზრუნველყონ შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებებისა და აღიარებული განზრახვათა რეალიზაცია,

გამოხატავენ რა სიმტკიცეს, სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში ორმხრივი ურთიერთობები განავითარონ ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების პირინციპების გათვალისწინებით (GATT/WTO),

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### **მუხლი 1**

მხარეები არ გამოიყენებენ საბაჟო გადასახადებს, ბეგარას და ექვივალენტური ქმედების მქონე მოსაკრებლებს იმ საქონლის ექსპორტსა და/ან იმპორტზე, რომელიც წარმოშობილია ერთ-ერთი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე და განკუთვნილია მეორე მხარის საბაჟო ტერიტორიაზე მიწოდებისათვის.

### **მუხლი 2**

მხარეები არ მოახდენენ:

– შეთანხმებით გათვალისწინებულ საქონლის პირდაპირ ან ირიბ დაბეგვრას ისეთი შიდა გადასახადებით ან მოსაკრებლებით, რომლებიც აღემატება იმ შესაბამის გადასახადებს ან მოსაკრებლებს, რითაც იბეგრება შიდა წარმოების ანალოგიური საქონელი ან მესამე ქვეყანაში წარმოებული საქონელი;

– მეორე მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის საწყობებში მოთავსები,

გადატვირთვის, შენახვის, გადაზიდვის, აგრეთვე ანგარიშსწორებისა და გადარიცხვის მიმართ, განსხვავებული წესების გამოყენებას, ვიდრე ისინი, რომლებიც ანალოგიურ შემთხვევაში გამოიყენება საკუთარი საქონლის ან მესამე ქვეყანაში წარმოშობილი საქონლის მიმართ.

### მუხლი 3

მხარეები ურთიერთვაჭრობაში თავს შეიკავებენ დისკრიმინაციული ზომების გატარებისაგან, ამ შეთანხმების ფარგლებში საქონლის, ექსპორტისა და/ან იმპორტის მიმართ რაოდენობრივი შეზღუდვების ან ექვივალენტური ღონისძიებებისაგან.

მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ რაოდენობრივი ან სპეციალური შეზღუდვები ცალმხრივად, მაგრამ გონივრულ ფარგლებში და მკაცრად განსაზღვრული ვადით.

ასეთი შეზღუდვები უნდა იყოს გამონაკლისი ხასიათის მქონე და შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია GATT/WTO-ს შეთანხმებებით.

მხარე, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად, იყენებს რაოდენობრივ შეზღუდვებს შეიძლება დაგვარად წინასწარ წარუდგენს მეორე მხარეს სრულ ინფორმაციას მითითებული შეზღუდვების შემოღების მიზეზების, ფორმებისა და გამოყენების სავარაუდო ვადის შესახებ, რომლის შემდეგაც ინიშნება კონსულტაციები.

### მუხლი 4

მხარეები რეგულარულ საფუძველზე გაცვლიან ინფორმაციას:

– კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან, მათ შორის ვაჭრობის, ინვესტიციების, დაბეგვრის, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობისა და სხვა საფინანსო მომსახურების, სატრანსპორტო და საბაჟო საკითხებთან, ასევე საბაჟო სტატისტიკის საკითხებთან.

– მხარეები დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს ეროვნულ კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ამ შეთანხმების შესრულებაზე.

მხარეთა უფლებამოსილი ორგანოები ათანხმებენ ამგვარი ინფორმაციის გაცვლის წესს.

### მუხლი 5

მხარეები ამ შეთანხმების მიზნით შეუთავსებლად მიიჩნევენ არაკეთილსინდისიერ საქმიან პრაქტიკას და ვალდებულებას იღებენ არ დაუშვან კერძოდ, მაგრამ არა გამონაკლისი სახით მისი შემდეგი მეთოდები:

– ხელშეკრულებები საწარმოებს შორის, საწარმოთა გაერთიანებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და საქმიანი პრაქტიკის ზოგადი მეთოდები, რომლებიც მიზნად ისახავენ კონკურენციისათვის ხელის შეშლას ან მის შეზღუდვას, ან მხარეთა ტერიტორიებზე მისი პირობების დარღვევას;

– მოქმედებები, რომელთა მეშვეობით ერთი ან რამდენიმე საწარმო თავისი დომინირებული მდგომარეობის გამოყენებით ზღუდავს კონკურენციას მხარეთა

ტერიტორიის მთელ ან მნიშვნელოვან ნაწილზე.

#### მუხლი 6

ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების სატარიფო და არასატარიფო ზომების განხორციელებისას, სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლისათვის, საბაჟო პროცედურების ჩატარებისათვის მხარეები გამოიყენებენ ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი ცხრანიშნა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას, რომელიც დაფუძნებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზირებულ სისტემაზე და ევროკავშირის კომბინირებულ სატარიფო-სტატისტიკურ ნომენკლატურაზე. ამასთანავე, მხარეები საკუთარი საჭიროებისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელებენ სასაქონლო ნომენკლატური განვითარებას ცხრანიშნიანი განზომილების ფარგლებს გარეთაც.

#### მუხლი 7

1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის დაცვა წარმოადგენს ამ შეთანხმების მიზნების მიღწევის უმთავრეს პირობას და საერთაშორისო შრომის განაწილებისა და კოოპერირების სისტემაში მათი ჩართვის არსებით ელემენტს.

ამასთან დაკავშირებით, ყოველი მხარე, უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე იმ საქონლის შეუფერხებელ და დაუბეგრავ ტრანზიტს, რომელიც წარმოშობილია მეორე მხარის და/ან მესამე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიისათვის და უზრუნველყოფს ექსპორტიორებს, იმპორტიორებს ან გადამზიდავეებს ტრანზიტისათვის საჭირო ყველა საშუალებითა და მომსახურებით რომლის პირობებიც არ იქნება უარესი ვიდრე პირობები, რომლებსაც სთავაზობენ იგივე მომსახურებისა და საშუალებებისათვის საკუთარ ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს ან ნებისმიერ ქვეყნის ექსპორტიორებს, იმპორტიორებსა და გადამზიდავეებს.

2. მხარეთა ტერიტორიაზე ტვირთების გატარების წესი და პირობები რეგულირდება გადაზიდვების საერთაშორისო წესების შესაბამისად.

#### მუხლი 8

ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგება რომელიმე მხარის უფლებას, გაატაროს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ზომები, რომლებსაც იგი თვლის აუცილებლად თავისი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, ან რომლებიც აუცილებელია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებისათვის, რომლის მონაწილედაც იგი ითვლება ან განზრახული აქვს გახდეს, თუ ეს ზომები ეხება:

- ინფორმაციას ეროვნული თავდაცვის ინტერესების შესახებ;
- იარაღით, საბრძოლო მასალებითა და სამხედრო ტექნიკით, ვაჭრობისას;
- თავდაცვის საჭიროებებთან დაკავშირებულ წარმოებასა და კვლევას;
- მასალებისა და დანადგარების მიწოდებას, რომელთა გამოყენება ხდება ბირთვულ მრეწველობაში;
- საზოგადოებრივი მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

- ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების დაცვას;
- ოქროს, ვერცხლის ან სხვა ძვირფას ლითონებსა და ქვებს;
- ადამიანთა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას.

#### მუხლი 9

ამ შეთანხმების დებულებები ცვლიან მხარეთა შორის ადრე დადებული ორმხრივი შეთანხმების დებულებებს, იმ მიმართულებით, რამდენადაც ეს უკანასკნელი შეუთავსებელია პირველთან, ან მათი იდენტურია.

#### მუხლი 10

მხარეთ შორის ამ შეთანხმების დებულებების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებული დავები გადაწყვეტილ იქნება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მხარეები შეეცდებიან ურთიერთვაჭრობისას თავიდან აიცილონ კონფლიქტური სიტუაციები.

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მის ტერიტორიაზე არსებობდეს ეფექტური საშუალებები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და განხორციელებისათვის.

#### მუხლი 11

ამ შეთანხმების რეალიზაციისა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო–ეკონომიკური თანამშრომლობის სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით მხარეები შეთანხმდნენ დააფუძნონ საქართველო–მოლდოვას ერთობლივი კომისია.

#### მუხლი 12

შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების თარიღიდან და ძალაში რჩება შ

ეთანხმების მოქმედების შეწყვეტის განზრახვის შესახებ ერთ–ერთი მხარის მიერ მეორე მხარისადმი წერილობითი შეტყობინების დღიდან თორმეტი თვის გასვლამდე.

ამ შეთანხმების დებულება მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, გამოიყენება ორივე ქვეყნის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, კონტრაქტებისათვის, რომლებიც დადებულია, მაგრამ შეუსრულებელი იყო ამ შეთანხმების მოქმედების პერიოდში.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1997 წლის 28 ნოემბერს, ორ პირად, ქართულ, მოლდავურ და რუსულ ენებზე. ამასთან. ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. ამ შეთანხმების დებულებების განსხვავებული განმარტებისას უპირატესობა ნიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით

მოდოვას რესპუბლიკის სახელით